



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

# პოლიტიკის დოკუმენტი

მაისი 2020 / გამოცემა №25

## რეგიონული თანამშრომლობა ელექტროენერგეტიკულ სექტორში: საქართველოს გამოწვევები და შესაძლებლობები

მარიამ ჩაჩუა<sup>1</sup>

### მოკლე შინაარსი

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში გაანალიზებულია საქართველოს წინაშე არსებული შესაძლებლობები ელექტროენერგეტიკულ სექტორში რეგიონული თანამშრომლობისა და ენერგოსაფრთხოების გაძლიერებისთვის. ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნა თანდათანობით ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე; შესაბამისად, საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა ელექტროენერჯის შიდა წარმოების განსავითარებლად. საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის მცირე მოცულობა და რეგიონულ ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე შეზღუდული წვდომა სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნულის გამო, ელექტროენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების წასახალისებლად საჭიროა სახელმწიფოს მიერ გარანტიების არსებობა და ასევე, რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის გაძლიერება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სექტორში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას. ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების (Energy Community Treaty (EnCT)) ხელშემკვრელი მხარის სტატუსი ქვეყანას საშუალებას აძლევს შეასრულოს სამხრეთ კავკასიასა და ევროკავშირის შორის დამაკავშირებელი ხიდის როლი. აღნიშნული მიზნის მიღწევაში, თურქეთთან ელექტროენერგეტიკული თანამშრომლობის გაძლიერებას ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრია. გარდა იმისა, რომ თურქეთი რეგიონის უმსხვილესი ენერგომომხმარებელია, ის მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოს ელექტროსისტემის ევროკავშირთან დაკავშირების ერთადერთი შესაძლო ვარიანტია; შესაბამისად, შიდა ბაზრის რეფორმირებასთან ერთად, აუცილებელია საქართველომ უზრუნველყოს თურქეთთან სახელმწიფოთაშორისი

<sup>1</sup> უფროსი კონსულტანტი, ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია PMO

თანამშრომლობის ფორმატის გაძლიერება და ამავედროულად, ხელი შეუწყოს დანარჩენ მეზობლებთან ელექტროენერგეტიკის სექტორში ორმხრივ თანამშრომლობას.

**საკვანძო სიტყვები:** ენერგია, რეგიონალური თანამშრომლობა, ენერგიით საერთაშორისო ვაჭრობა.

## შესავალი


ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნა ენერგოსაფრთხოების კუთხით საქართველოს შიდა გამოწვევას წარმოადგენს და განაპირობებს ქვეყნის დამოკიდებულების ზრდას იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე. ბოლო სამი წლის განმავლობაში, იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი ჯამურ მოხმარებაში სამჯერ გაიზარდა და 12%-ს მიაღწია.<sup>2</sup> მოთხოვნის ზრდის ამ ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, ქვეყნის ელექტროენერგიის მოხმარება 2025 წლისთვის 18 ტერავატ საათს გადააჭარბებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტროენერგიის შიდა წარმოებაში ინვესტირების ხელშეწყობის გარეშე საქართველოს ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ მნიშვნელოვანი დეფიციტი შეექმნება.<sup>3</sup>

საქართველოს აუთვისებელი, განახლებადი ენერგიის წარმოების პოტენციური კარგი შესაძლებლობაა ერთი მხრივ, ელექტროენერგიაზე შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მეორე მხრივ კი ქვეყნის სუფთა ენერგიის მსხვილ მიმწოდებლად ჩამოსაყალიბებლად რეგიონში. მიუხედავად ამისა, ელექტროენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რასაც შიდა ბაზრის მოცულობის სიმცირე, ელექტროენერგიით კონკურენტული ვაჭრობის მექანიზმის არარსებობა და რეგიონში თანამშრომლობის შეზღუდული მასშტაბები განაპირობებს.

<sup>2</sup> *Electricity Balance of Georgia for 2010-2018 years*, Electricity System Commercial Operator (ESCO) ხელმისაწვდომია: <https://esco.ge/energobalansi/by-year-1> ინფორმაციის მოპოვების თარიღი: აპრილი, 2020

<sup>3</sup> Source: *Georgia's Ten Year Network Development Plan for 2019-2029*, G2L2 scenario assuming 5% growth of consumption, Georgian State Electrosystem (GSE), ხელმისაწვდომია: [http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP\\_GE-2020-2030\\_ENG.pdf](http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2020-2030_ENG.pdf), ინფორმაციის მოპოვების თარიღი: აპრილი, 2020

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის გენერაცია და მოხმარება, 2010-2018 წწ, ტერავატსაათი



გეოგრაფიული მდებარეობა, მეზობელ ქვეყნებთან პოზიტიური ურთიერთობა და ევროკავშირთან თანამშრომლობის მზარდი დინამიკა მყარ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ მომავალში საქართველო ჩამოყალიბდეს დამაკავშირებელ ხიდად ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ენერგობაზრებს შორის. მიუხედავად ამისა, რეგიონის მასშტაბით ენერგობაზრების საკანონმდებლო და სტრუქტურული განსხვავებები, ევროკავშირის ელექტროენერგეტიკულ ბაზართან პირდაპირი კავშირის, ისევე, როგორც სახელმწიფოთაშორისი ელექტროენერჯით ვაჭრობის ერთიანი ფორმატის არარსებობა ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვან წინაღობებს ქმნის და აუცილებელია მათზე მუშაობა.

## რეგიონული თანამშრომლობა ელექტრო სექტორში: საქართველოს პერსპექტივები

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყანას საშუალებას აძლევს შეასრულოს ელექტროენერგეტიკული ხიდის როლი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის. აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფნის პროექტში ჩართულია საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ელექტროსისტემები, რაც საქართველოსა და აზერბაიჯანის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს ევროპის ბაზართან დაკავშირების საშუალებას აძლევს. რაც შეეხება სომხეთს, ის ხანგრძლივი და რთული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, კვლავ აღმოსავლეთ-დასავლეთის რეგიონული ენერგოპროექტების მიღმა რჩება და დამოკიდებულია მხოლოდ ჩრდილოეთ-სამხრეთის


ენერგოდერეფანზე, რაც გულისხმობს ელექტროენერჯის ტრანსპორტირებას ჩრდილოეთით, საქართველოს გავლით რუსეთიდან, ხოლო სამხრეთით- ირანიდან<sup>4</sup>.

ქვეყნებს შორის კარგად გამართული ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის არსებობა, ადგილობრივი ენერგოწარმოების განვითარება, გამტარიანობის მართვის საერთო წესებისა და პროცედურების დამკვიდრება ელექტროენერჯეტიკის სექტორში ქვეყნებს შორის წარმატებული თანამშრომლობის წინაპირობას წამოადგენს.

მიუხედავად თითოეული მხარისათვის პოტენციური სარგებლიანობისა როგორც ეკონომიკური, ისე ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკურ სისტემებსა და ენერგობაზრებში არსებული განსხვავებები, ისევე როგორც ქვეყნებს შორის გაჭიანურებული კონფლიქტების არსებობა ელექტროენერჯეტიკულ სექტორში მჭიდრო თანამშრომლობის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

სიმძლავრეების გაცვლა-გამოცვლისა და გადანაწილების კუთხით (რაც ბაზრის ინტეგრირებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს) საერთო ფორმატის არარსებობა კიდევ ერთ ბარიერს უქმნის მეზობელ სისტემებს შორის აქტიურ თანამშრომლობას.

**გრაფიკი 2: ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემი ხაზების არსებული და დაგეგმილი გამტარუნარიანობა მეზობელ ქვეყნებთან**



საქართველოს ამ ეტაპზე გააჩნია მეზობელ ენერგოსისტემებთან ელექტროენერჯის მიმოცვლის შესაძლებლობა, არსებული ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა 2650 მეგავატს შეადგენს. ამასთანავე, 2030 წლამდე დაგეგმილი ტრანს-სასაზღვრო გადამცემი ხაზების პროექტების განხორციელების შედეგად ქვეყნის მეზობელ

<sup>4</sup> Tsurtsunia T, 2015, "Electricity Cooperation in South Caucasus", Energy Community Secretariat Knowledge Center

ენერგოსისტემებთან ელექტროენერჯის მიმოცვლის შესაძლებლობები კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.<sup>5</sup> მიუხედავად ამისა, გადამცემი ხაზების პოტენციური დღეისათვის ბოლომდე გამოყენებული არ არის, რაც სიმძლავრეების გადანაწილებისა და ელექტროენერჯის ტრანს-სასაზღვრო მიმოცვლის ერთიანი, მოქნილი მექანიზმის არარსებობითაა გამოწვეული. დღესდღეობით, ერთადერთი მეზობელი, რომელთანაც საქართველომ შეძლო მსგავსი მექანიზმის განვითარება თურქეთია, თუმცა ამ მექანიზმსაც აკლია მოქნილობა და მაქსიმალური სარგებლობის მისაღებად აუცილებელია მასში ცვლილებების განხორციელება.<sup>6</sup>

აქედან გამომდინარე, გარდა სახელმწიფოთაშორისი გადამცემი ხაზების განვითარებისა, საქართველომ აქტიური ზომები უნდა მიიღოს მეზობელ ქვეყნებთან ერთად საერთო წესებისა და პროცედურების შემუშავების მიზნით, რითაც ხელი შეეწყობა ქვეყნებს შორის ელექტროენერჯით ვაჭრობას და მეზობელი ელექტროსისტემების ინტეგრაციას.

## აღმოსავლეთ-დასავლეთის ელექტროენერჯის კორიდორის განვითარების პერსპექტივები

საქართველოს, ამ დროისთვის, მეზობელი ქვეყნების უმრავლესობასთან უკვე კარგად განვითარებული პარტნიორული ურთიერთობები აქვს, რაც ისეთი სტრატეგიული პროექტების დამსახურებაა, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენები, ასევე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. აღნიშნული პარტნიორობების შედეგად შესაძლებელი გახდა ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სატრანსპორტო და ენერგოკავშირების რეალიზება. ის ფაქტი, რომ ზემოჩამოთვლილ პროექტებში თურქეთთან და აზერბაიჯანთან უკვე არსებობს თანამშრომლობის გამოცდილება, პოზიტიურ წინაპირობას ქმნის იმისთვის, რომ ქვეყნებმა ელექტროენერჯეტიკულ სექტორშიც გააძლიერონ თანამშრომლობა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ელექტროენერჯეტიკული დერეფნის პროექტი, რომლითაც უნდა მოხდეს აზერბაიჯანისა და საქართველოს ელექტროსისტემების, თურქეთის გავლით, ევროპის ელექტროენერჯეტიკულ ბაზართან დაკავშირება, მნიშვნელოვანი ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. აშშ, ისევე როგორც ევროკავშირი მათ ხელთ არსებულ რესურსებს აქტიურად მიმართავს პროექტში

<sup>5</sup> Georgia's Ten Year Network Development Plan for 2019-2029, G2L2 scenario assuming 5% growth of consumption, Georgian State Electrosystem (GSE), ხელმისაწვდომია: [http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP\\_GE-2020-2030\\_ENG.pdf](http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2020-2030_ENG.pdf), ინფორმაციის მოპოვების თარიღი: აპრილი, 2020

<sup>6</sup> The Agreement between Georgia and the Republic of Turkey concerning Cross-Border Electricity Trade via Borcka-Akhaltshikhe Interconnection Line, signed in 2012, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2319095?publication=0> ინფორმაციის მოპოვების თარიღი: აპრილი, 2020

ჩართული ქვეყნების დასახმარებლად, როგორც ტრანს-სასაზღვრო ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების, ისე ენერგობაზრების რეფორმების განხორციელების პროცესში.<sup>7</sup>

აღმოსავლეთ-დასავლეთის ელექტროენერგეტიკული დერეფნის განვითარებას საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან აღნიშნული პროექტის საშუალებით ქვეყანას ევროპის ელექტროენერგეტიკულ ბაზართან დაკავშირების შესაძლებლობა ეძლევა. საქართველოს განახლებადი ელექტროენერჯის წარმოების პოტენციალი, აზერბაიჯანის ბუნებრივი გაზის რეზერვები, თურქეთის მზარდი მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე ქმნის იმის წინაპირობას, რომ პროექტში ჩართულმა თითოეულმა მხარემ მიიღოს სარგებელი ელექტროენერჯით ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობისა და ევროპულ ბაზართან ელექტროენერჯის მიმოცვლის საშუალებით.

ახლადაგებული აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის გადამცემი ხაზის საერთო გამტარუნარიანობა 700 მეგავატს შეადგენს, თუმცა ხაზის სიმძლავრე სრულად არ არის დატვირთული. ელექტროენერჯის მიმოცვლა, ძირითადად ზაფხულის პერიოდში ხორციელდება, თუმცა ამ პერიოდშიც ხაზი არასრულად, მხოლოდ 21%-ით იტვირთება.<sup>8</sup> არსებული ტრანს-სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გამოყენებით მაქსიმალური სარგებლის მისაღებად საქართველოსთვის აუცილებელია აზერბაიჯანსა და თურქეთთან სიმძლავრეების განაწილებისა და სიმძლავრეების რეზერვების გაზიარების საერთო წესების ჩამოყალიბების მიზნით მოლაპარაკებების დაწყება, რაც სამივე ქვეყანას საშუალებას მისცემს რესურსების გაერთიანებით უფრო ეფექტურად და დაბალი დანახარჯებით მოახდინონ საკუთარი ენერგომომხმარებლის უზრუნველყოფა.

აზერბაიჯანს, თურქეთსა და საქართველოს შორის უკვე ჩამოყალიბებულია ოფიციალური სამმხრივი პარტნიორული ურთიერთობა. 2012 წელს მხარეებმა შეიმუშავეს ტრაპიზონის დეკლარაცია, რომლითაც სამი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა გავრცელდა როგორც ეკონომიკურ, ისევე სამხედრო და უსაფრთხოების ასპექტებზე<sup>9</sup>. მეტიც, სამივე ქვეყანა ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების (ECT) ხელმომწერია, რომელიც შესაძლოა ეფექტური პლატფორმა გამოდგეს არსებული სავაჭრო ურთიერთობების თაობაზე მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის დასაწყებად და შესაძლებელი გახადოს სახელმწიფოებს შორის მეტი ინტეგრაცია ერთიანი საკანონმდებლო და ტექნიკური მექანიზმების შემუშავების გზით.

<sup>7</sup> Ghvinadze N, Linderman L, 2013, "Cross-border Electricity Exchanges: Bolstering Economic Growth in South Caucasus and Turkey", Atlantic Council

<sup>8</sup> Annual Report of the Georgian Energy and Water Supply Regulatory Commission (GNRC), 2018

<sup>9</sup> Celikpala M, Veliyev C, November 2015, "Azerbaijan-Georgia-Turkey: An example of successful regional cooperation", საერთაშორისო და ევროპული კვლევების ცენტრი (CIES)

## ევროპასა და საქართველოს შორის ელექტრო სექტორში თანამშრომლობის პერსპექტივები

საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების (Energy Community Treaty (EnCT)) ხელშემკვერელი მხარე, კონკურენტუნარიანი ელექტროენერჯის ბაზრის შექმნისა და ევროპულ სტანდარტებთან სისტემური ოპერაციების ჰარმონიზაციის პროცესში იმყოფება. ელექტროენერგეტიკულ სექტორში რეფორმების ეფექტურად განხორციელება საქართველოს საშუალობას მისცემს თურქეთის გავლით დაუკავშირდეს ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემას და განახორციელოს ელექტროენერჯის მიმოცვლა ევროპის ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე, რაც აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელი აღმოსავლეთ-დასავლეთის ელექტროენერჯის დერეფნის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით, აზერბაიჯანი და თურქეთი დამოუკიდებელ ენერგოპოლიტიკას ანიჭებენ უპირატესობას და თავს იკავებენ იმ ვალდებულებების აღებისგან, რასაც ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა მოიწოდებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აზერბაიჯანსა და თურქეთთან დიალოგის ხელშესაწყობად საქართველომ უნდა მოიძიოს ალტერნატიული გზები, მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

საქართველოსთვის ევროკავშირის ენერგობაზარზე გავლის კიდევ ერთი შესაძლებლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კოორდინირებულ აუქციონის ოფისში (Coordinated Auction Office in Southeast Europe (SEE CAO)) გაწევრიანებაა, ამისათვის საქართველოს დასჭირდება თურქეთთან მოლაპარაკების გამართვა, რათა გაწევრიანებასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის თანხმობა იქნას მოპოვებული.<sup>10</sup> აღნიშნული ორგანიზაცია აკავშირებს ალბანეთის, ბოსნიის და ჰერცეგოვინას, ხორვატიის, საბერძნეთის, კოსოვოს, მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიის, რუმინეთის, სლოვენისა და თურქეთის გადამცემი სისტემის ოპერატორებს (TSOs) და ეხმარება წევრ ქვეყნებს, ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, ერთმანეთთან ელექტროენერჯით ვაჭრობის განხორციელებაში. ზემოხსენებული ორგანიზაციის წევრობით საქართველო მიიღებდა წევრ ქვეყნებთან საერთო სავაჭრო პლატფორმას და შეძლებდა თურქეთის გავლით, ევროპის ქვეყნებთან ჩაბმულიყო ვაჭრობაში; მეტიც, ევროპის ბაზარზე გავლით გაიზრდებოდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი რეგიონში; ეს კი წახალისებდა მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგეტიკულ სექტორში ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის გაძლიერებას, რადგან ისინი საქართველოს გავლით რეგიონის ენერგო ბაზრებზე მიღებდნენ წვდომას.

<sup>10</sup> სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კოორდინირებული აუქციონის ოფისის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.seecao.com/company-background> ინფორმაციის მოპოვების თარიღი: აპრილი, 2020

საქართველოსა და ევროპას შორის პირდაპირი კავშირის დამყარების საშუალებას წარმოადგენს შავი ზღვის გავლით, წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლითაც საქართველო რუმინეთს დაუკავშირდება. აღნიშნული პროექტი ინიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ და ერთობლივი ინტერესის პროექტის სტატუსის მინიჭების მიზნით, წარდგენილია ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოში.<sup>11</sup> აღნიშნული პროექტის განხორციელებას საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი მიაწოდებს ქვეყანას ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებთან პირდაპირ წვდომას და შესაბამისად, ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით სრული სარგებლის, მათ შორის, ენერგეტიკული კრიზისის დროს დახმარების მიღების საშუალებას. მეტიც, ეს შესაძლებლობას მისცემდა მეზობელ ქვეყნებს საქართველოს გავლით გასულიყვნენ ევროპულ ბაზარზე. პროექტის სიცოცხლისუნარიანობა, ეკონომიკური თვალსაზრისით, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებს საქართველო თავი მოუყაროს როგორც შიდა ბაზარზე, ისე მეზობელი ქვეყნების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის საკმარის რაოდენობას ხაზის სრული დატვირთვით ასამუშავებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ დამტკიცების შემთხვევაში, შავიზღვისქვეშა ხაზის მშენებლობის დასრულება 2029 წლამდე ვერ მოხდება, შესაბამისად, უახლოეს მომავალში საქართველომ უნდა მოძებნოს მეზობელ სისტემებთან ინტეგრაციის განხორციელების უფრო სწრაფი გზები.

## ჩრდილოეთი-სამხრეთის ელექტროენერჯის კორიდორი: ირანი-სომხეთი-საქართველო და რუსეთი

ჩრდილოეთი-სამხრეთის ელექტროენერგეტიკული დერეფნის პროექტის განხორციელება, რომლითაც იგეგმებოდა საქართველოს გავლით, სომხეთის, რუსეთისა და ირანის დაკავშირება, კვლავაც შეჩერებულია. 2016 წელს ხელმოწერილი მთავრობათაშორისი შეთანხმების თანახმად, პროექტი 2019 წლისთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა სომხეთში გადამცემი ხაზების მშენებლობის ირგვლივ წარმოშობილი ფინანსური ხასიათის პრობლემების გამო აღნიშნული პროექტის მომავალი დღემდე გაურკვეველია.<sup>12</sup>

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მხარეთა წარმატებული თანამშრომლობისთვის აუცილებელია მთავრობათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებით იქნებოდა დაკომპლექტებული. ამგვარად, შესაძლებელი გახდებოდა როგორც პროექტის განხორციელება, ისე სახელმწიფოთა შორის

<sup>11</sup> ენერგეტიკულ გაერთიანებაში საჯარო კონსულტაციებისათვის წარდგენილი პრიორიტეტული პროექტებისა და ორმხრივი ინტერესის პროექტების სია, ენერგეტიკული გაერთიანების ოფიციალური ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://energy-community.org/regionalinitiatives/infrastructure/PC.html> ინფორმაციის მოპოვების თარიღი: აპრილი, 2020

<sup>12</sup> Georgia's Ten Year Network Development Plan for 2019-2029, G2L2 scenario assuming 5% growth of consumption, Georgian State Electrosystem (GSE), ხელმისაწვდომია: [http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP\\_GE-2020-2030\\_ENG.pdf](http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2020-2030_ENG.pdf), ინფორმაციის მოპოვების თარიღი: აპრილი, 2020



ელექტროენერჯით ვაჭრობის და სიმძლავრეების განაწილების საერთო წესების შემუშავება. საქართველო, სომხეთი და რუსეთი ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების წევრები არიან, ეს უკანასკნელი ეფექტური პლატფორმა იქნებოდა, ცოდნის გაზიარებისა და სისტემების ინტეგრაციის მიზნით, რეგიონალური სამუშაო ჯგუფის შექმნისათვის.

## დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე, ერთადერთი გამოსავალი საერთაშორისო სავაჭრო პოტენციალის განვითარებაა. საქართველოს უკვე გააჩნია მეზობელი ქვეყნების სისტემებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურა, თუმცა მოქნილი სავაჭრო შეთანხმებების არარსებობა შეუძლებელს ხდის ენერგეტიკის სექტორში შემდგომ თანამშრომლობას; შესაბამისად, შიდა ბაზრის რეფორმირებასთან ერთად, საქართველომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მეზობელ ქვეყნებთან დიალოგის წამოწყებას ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების მიღწევის მიზნით და ამავდროულად იზრუნოს სახელმწიფოთა შორის ელექტროენერჯით ვაჭრობის წესებისა და პროცედურების მეტ მოქნილობაზე.

რეკომენდაციები:

- კონკურენტუნარიანი ენერგობაზრის სტრუქტურისა და კონკურენტუნარიანი ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმის ჩამოყალიბება
- თურქეთთან მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის განახლება, რომლის მიზანი იქნება ელექტროენერჯის სექტორში თანამშრომლობის ხელშეწყობა და სიმძლავრეების განაწილებისა და ურთიერთგაცვლისთვის აუცილებელი, მეტი მოქნილობის მქონე წესების შემუშავება
- სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კოორდინირებულ აუქციონის ოფისში გაწევრიანება, რაც თურქეთთან და ევროპასთან ელექტროენერჯით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის კიდევ ერთი ალტერნატიული პლატფორმა იქნება
- ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების (ECT) გამოყენება იმისთვის, რომ შეიქმნას რეგიონალური სამუშაო ჯგუფი, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი), ისე ჩრდილოეთი-სამხრეთის (რუსეთი, საქართველო, სომხეთი, ირანი) ელექტროენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით
- განახლებადი ენერჯის წარმოების სფეროში ინვესტირების წახალისების მიზნით გამჭვირვალე ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება
- მეზობელ ქვეყნებს შორის ელექტროენერჯის გაცვლა-გამოცვლის მიზნით, სახელმწიფოთა დამაკავშირებელი ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება და სიმძლავრეების ზრდა

- ორმხრივი და მრავალმხრივი პლატფორმების გამოყენება ელექტროენერჯით ვაჭრობის საკითხზე მეზობელი ქვეყნების მაღალი დონის პოლიტიკური საუბრების წამოსაწყებად.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**  
**თბილისი**  
სამხრეთ კავკასია

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა **ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერით**. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისისა და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.

#### დოკუმენტის ციტირების წესი:

მარიამ ჩაჩუა, „*რეგიონული თანამშრომლობა ელექტროენერგეტიკულ სექტორში: საქართველოს გამოწვევები და შესაძლებლობები*“, პოლიტიკის დოკუმენტი #25, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მაისი 2020.

© Georgian Institute of Politics, 2020

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

[www.gip.ge](http://www.gip.ge)